Erasmus Mundus II Action 2 Lot 7

ALRAKIS

ევროკომისიის პროგრამა Erasmus Mundus II ხორციელდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით. პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტების, მკვლევრებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლებს და ამ გზით მობილობის წახალისებას ევროკავშირისა და მის ფარგლებს გარეთ არსებულ ქვეყნებს შორის.

მეორე აქტივობა ითვალისწინებს:

- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობას მსოფლიოს მასშტაბით;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობის ჩამოყალიბებას სასწავლო პროგრამებისა და კვალიფიკაციების საერთაშორისო აღიარებისათვის ნიადაგის მოსამზადებლად;
- უმაღლესი განათლების სექტორის მნიშვნელობის გაზრდას ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების გაზიარების გზით.

მე-7 ლოტი განკუთვნილია სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების - საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოქალაქეებისათვის.

ხანგრძლივობა:
48 თვე - 2011 წლის 15 ივლისიდან 2015 წლის 14 ივლისამდე.

ძირითადი მიზნები:

- ე.წ. მესამე ქვეყნების შესაძლებლობების გაუმჯობესება
- სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა
- გენდერული ბალანსისა და თანაბარი შესაძლებლობების სტიმულირება
- კვლევის შესაძლებლობების შექმნა და ადამიანური და ეკონომიკური კაპიტალის გაზრდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში
- სტაჟირების პროგრამების შექმნა
- რეგიონალური პროექტთაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება
- სტუდენტთა დასაქმების კოეფიციენტის გაზრდა

ALRAKIS კონსორციუმი

- გიოტინგენის გეორგ-აუგუსტუსის უნივერსიტეტი, გერმანია
  გრანტის მფლობელი და კოორდინატორი
- ლიუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი, ბელგია
- ვარშავის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტი, პოლონეთი
- სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი, ესპანეთი
- ტალინის უნივერსიტეტი, ესტონეთი
- ტუსკიას უნივერსიტეტი, იტალია
- გრაცის უნივერსიტეტი, ავსტრია
- სტოქჰოლმის სამეფო ტექნოლოგიური ინსტიტუტი, შვედეთი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
  სამხრეთ კავკასიის რეგიონალური კოორდინატორი
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
- ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სომხეთი
- ევრაზიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სომხეთი
- ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სომხეთი
- ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, აზერბაიჯანი
- „ქავქაზ“ უნივერსიტეტი, აზერბაიჯანი
- აზერბაიჯანის ენების უნივერსიტეტი, აზერბაიჯანი

კონტაქტი
გიოტინგენის გეორგ-აუგუსტუსის უნივერსიტეტი
გიოტინგენის საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრი
ფონ-ზიბოლდ-შტრასე 4
D-37075 გიოტინგენი
ტელ.: +49 551 / 39 13586
ფაქსი: +49 551 / 39 14254
ელ-ფოსტა: alrakis@uni-goettingen.de
www.alrakis.eu

GEORG-AUGUST-UNIVERSITÄT GÖTTINGEN

ALRAKIS

ERASMUS MUNDUS

European Commission
ERASMUS MUNDUS

ჯგუფი	სამიზნე ბენეფიციარები	მობილობის სახე
სამიზნე ჯგუფი 1	კონსორციუმის წევრ უნივერსიტეტებში დარეგისტრირებული სტუდენტები და აკადემიური პერსონალი	საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, პოსტსადოქტორო, აკადემიური პერსონალის გაცვლები
სამიზნე ჯგუფი 2	მესამე ქვეყნების (რომლებსაც ფარავს გეოგრაფიული ლოტი) მოქალაქეები, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (კონსორციუმის წევრი უნივერსიტეტების გარდა) დარეგისტრირებული სტუდენტები ან აღნიშნულ ქვეყნებში არსებული ინსტიტუციების მიერ გაცემული საუნივერსიტეტო ხარისხის მქონე პირები. აქ იგულისხმება, რომ მობილობაში მონაწილეობის საშუალება მიეცემათ იმ მოქალაქეებს, რომლებიც მუშაობენ საჯარო სამსახურებსა და კერძო დაწესებულებებში.	სამაგისტრო, სადოქტორო და პოსტსადოქტორო გაცვლები
სამიზნე ჯგუფი 3	მესამე ქვეყნების (რომლებსაც ფარავს გეოგრაფიული ლოტი) მოქალაქეები, რომლებიც იმყოფებიან განსაკუთრებით დაუცველ სიტუაციაში პოლიტიკური ან ეკონომიკური მდგომარეობის ან ფიზიკური ინვალიდობის გამო. მაგალითად: 1. ლტოლვილის სტატუსის და თავშესაფრის მქონე პირები (საერთაშორისო ან მიმღები ევროპული ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად) ან 2. თუ მტკიცდება, რომ პირები გახდნენ არასამართლიანი გარიცხვის მსხვერპლი უნივერსიტეტის მხრიდან რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური, გენდერული ან სექსუალური ორიენტაციის გამო ან 3. პირები, რომლებიც მიეკუთვნებიან აბორიგენ/ადგილობრივ მოსახლეობას სპეციფიკური ნაციონალური სტრატეგიის მიხედვით ან იძულებით გადაადგილებული პირები. საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და პოსტ-სადოქტორო გაცვლები	საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და პოსტ-სადოქტორო გაცვლები

ინდივიდუალური მობილობის ტიპები	სამიზნე ჯგუფი 1 სტუდენტები და თანამშრომლები პარტნიორი დაწესებულებებიდან	სამიზნე ჯგუფი 2	სამიზნე ჯგუფი 3
	ევროკავშირისა და მესამე ქვეყნების პარტნიორები	მესამე ქვეყნების სხვა მოქალაქეები გარდა მე-3 სამიზნე ჯგუფისა	ლტოლვილები, თავშესაფრის მთხოვნელები, უსამართლოდ გარიცხვის/დისკრიმინაციის მსხვერპლნი, აბორიგენი მოსახლეობა ან იძულებით გადაადგილებული პირები
საბაკალავრო	1 აკადემიური სემესტრიდან 1 აკადემიურ წლამდე (მაქს. 10 თვე)	---	1 აკადემიური წელი (მაქს. 10 თვე)
სამაგისტრო	1 აკადემიური სემესტრიდან (მხოლოდ ევროკავშირის წარმომადგენლები) 1 აკადემიურ წლამდე	1აკადემიური სემესტრიდან 2 აკადემიურ წლამდე (მაქს. 22 თვე)	1 აკადემიური სემესტრიდან 2 აკადემიურ წლამდე (მაქს. 22 თვე)
სადოქტორო	6 (მხოლოდ ევროკავშირის წარმომადგენლები) - 22 თვე	20-22 თვე	3 აკადემიური წელი (34 თვე)
პოსტსადოქტორო	6-10 თვე (მხოლოდ მესამე ქვეყნების წარმომადგენლები)	6-10 თვე	10 თვე
აკადემიური პერსონალი	1 თვე	---	---

ALRAKIS

სააპლიკაციო პროცედურები

სააპლიკაციო ფორმები განთავსებულია ვებ-პლატფორმაზე **www.alrakis.eu**. სააპლიკაციო ფორმის შესავსებად საჭიროა შემდეგი დოკუმენტები:

1. სერტიფიკატებისა და ნიშნების ფურცლების დამოწმებული ასლები (საჭიროების შემთხვევაში თარგმანი ინგლისურ ენაზე)
2. მოტივაციის წერილი
3. ძირითადი უნივერსიტეტის მიერ დადასტურებული ECTS სასწავლო გეგმა - სასწავლო ხელშეკრულება (კრედიტების მაძიებელი სტუდენტებისათვის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისათვის)
4. სწავლების ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ძირითადი უნივერსიტეტის მიერ გაცემული მოწმობა საკმარისია გაცვლითი სტუდენტებისათვის, მაგრამ ხარისხის მაძიებელი სტუდენტებისათვის აუცილებელია საერთაშორისოდ აღიარებული ენის ტესტი - TOEFL ან IELTS)
5. CV (სასურველია Europass ფორმატით)
6. სარეკომენდაციო წერილ(ებ)ი
7. კვლევის და სასწავლო პროგრამა (სადოქტორო და პოსტსადოქტორო მობილობისათვის)
8. მასპინძელი უნივერსიტეტის მოწვევის წერილი (სადოქტორო, პოსტსადოქტორო და თანამშრომელთა მობილობისათვის)
9. სწავლების, კვლევისა და სწავლის გეგმა (თანამშრომელთა მობილობისათვის)
10. მესამე მიზნობრივი ჯგუფის წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საჭიროების შემთხვევაში)

კონკურსი გამოცხადდება 2011 წლის დეკემბერში და განაცხადის შეტანა შესაძლებელი იქნება მინიმუმ 45 დღის განმავლობაში.